საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 4 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 146

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

მეუღლე ათანასე მეგრელიშვილი, შვილები: ტრიფონ, არონ (ვარლამი) ილია, და ქენია, რძალი ლოლია, სიძე რაჟდენი დარისპანის ძე თევზაძე, ძმა არჩილი, დაი ელპიტი, ნათლია ირაკლი ცინცაძე, მაზლიშვილი ირაკლი და ნატაშა მეგრელიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს, რომ აწ განსვენებულის

**ტერეზი რამიშვილის ასულის მეგრელიშვილის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 6 ივლისს (ახ. სტ.) ნაშვადღევის 3 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პარკოვის ქუჩა სახლი № 23.

---

დღეს ოთხ ივლისს დილის 9 საათზე დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი როსტომის ძე მელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მარიამი პავლეს ასული შვილებით.

---

ზარდაცემული დედა ელისაბედი, ძმა პეტრე პრაციშვილი, ბებია ფერიკი, დეიდა მარია თათარიშვილის ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 1 ივლისს ღ. ხობში უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი თფილისის უნივერსიტეტის კურსისტკა

**პეტა ნიკოს ასული პრაციშვილი**

დაკრძალვა პარასკევს 4 ივნისს.

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ჭონჭი გიორგის ასული ბოლქვაძისა მშობლებით ალექსით და სოფიოთი, ძმები: სპირდონ, სოლომონ და ნესტორ, დები: ანეტა, მინადორა და ძაძუ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტარლიკულად გამოესალმა სიცოცხლეს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ბასილი ალექსის ძე ბოლქვაძე**

დაკრძალვა შაბათს 5 ივლისს ს. ჯალირაში (ზუგდიდის მაზრა).

## ჩვენ და ბოლშევიკები

ანარქო-კომუნისტებს მათი საწყაულით მიუზღეს. მთავრობას შეუძლებლად უცვნია მათი ანარქისტული მუშაობა, პირაღებული ლანძღვა ჩვენი რესპუბლიკის, მისი დამფუძნებელ კრების, მისი წყობილების საფუძველის, იმ დროს, როცა გარედან მტერი მოგვდგომია და გასრესას გვიქადის.

ბოლშევიკებმა, როგორც მათ უპასუხისმგებლობას სჩვევია, ჩვენი სურვილი დემოკრატიის გაერთიანების დენიკინის წინაამდეგ თავის მიზნებისთვის გამოიყენეს ჩვენს წინაამდეგ და გარეშე მტრის ნაცვლად ცნობილი მურასავით შინაურებს დაუტრიალდნენ. მათი გაზეთები აქაც და ბაქოშიაც მხოლოდ მენშევიკების და საქართველოს რესპუბლიკის თრევაში ალამ-ათენებენ.

ახლაც მათი გაზეთი „რაბოჩი“, ასეთი ქუჩური კილოთი სწერს, რომელსაც ავლაბრულს უწოდებენ. ჩვენ თურმე საშუალო საუკუნის წესები შემოგვილია პოლიტიკურ მოწინაალმდეგის ასალაგმავად. ამას ამბობენ ბოლშევიკები, რომელნიც მთავრობამ დაატუსაღა.

მაგრამ, ერთი კითხეთ ამ ვაჟბატონებს, როგორ იქცევიან იგინი სოვდეპიაში? ლენინი პირდაპირ სწერს და ქადაგებს, რომ პოლიტიკური ოპოზიციის წარმოებას იგი ვერ მოითმენს. ხოლო, რას ნიშნავს არ მოთმენა—ეს ყველას მოეხსენება: დახვრეტა, დახრჩობა, დაჯარიმება. გაზეთის დახურვაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. გაზეთს იგინი პრინციპიალურათ არავის აბეჭდვინებენ გარდა თავის თანამოაზრეებისა. და აი ასეთი ხალხი ჩვენ გვიკიჟინებს ველურ ზომების მიღებას.

ერთი მიბრძანეთ, ვინ შეისმენს მათ ნიანგის ცრემლებს და გოდებას?

მათ მიუზღვეს მეათედი იმის, რასაც თვითონ სჩადიან. და ისინი მაინც განგაშობენ... მაგრამ არის მათ დემაგოგიურ არსენალში ერთი მჭლე აზრი, რომელსაც საჭიროა მცირედი ყურადღება მიექცეს.

ბოლშევიკების გაზეთი „რაბოჩი« ამტკიცებს, რომ ჩვენ სოციალ-რეფორმისტობას მივდევთ და ამიტომ ბურჟუაზიის გაძლიერებასა და გაბატონებას ვეტრფით. უცნაური ბრალდებაა! უსუსური დემაგოგიაა!

მთელი ჩვენი მუშაობა პირიქით მიმართულია იქითკენ, რომ მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესში რაც შეიძლება მეტათ უზრუნველყოფილ იქნეს ინტერესი მუშა ხალხის. ამიტომ საერთო საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენ დავაყენეთ პირველ რიგში და მას დავუმორჩილეთ მოთხოვნილება კერძო პირის, ინტერესი კერძო წარმოების.

ეს გახლავთ დემოკრატიული პოლიტიკა სოციალურ სფეროში, რომელიც საუკეთესოთ ამზადებს ნიადაგს და ზრდის ხალხს კოლექტიური წარმოების ფორმების გასაძლოლათ ახლო მომავალში.

ჩვენ არ გავყევით ანარქისტულ მისწრაფებას ლენინისას, რომელმაც დაუყოვნებლივ წარმოების დატაცებით გაანადგურა თვით წარმოება, და ამრიგათ გამოაცალა სოციალურ-ეკონომიური საფუძველი სოციალიზმის შესაძლებლობას. ჩვენ გვინდა არა სიმდიდრის განადგურება, არამედ მისი გამრავლება და ამ სიმრავლეში უდიდესი წილის დღესვე მუშა ხალხისთვის დადება, და ასე საწარმოვო ძალთა განვითარებით შექმნა ნიადაგის, რომელზედაც აშენდება მომავალი წყობილება. დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ჩვენ დღეს ვუდგივართ სათავეში, საუკეთესო ფორმაა ხალხის ბატონობის, საუკეთესო ფორმაა, რომლის შიგნით შეიძლება მოთავსება საწარმოვო ძალთა განვითარების, როგორც დღევანდელ ხანაში, ისე მომავალ სოციალისტურ წყობილებაში. დემოკრატიული რესპუბლიკა მუშათა კლასის, დემოკრატიის ბატონობით ეს ნამდვილი უტყუარი გადამავალი სკოლაა სოციალიზმისკენ.

ეს არ ესმით მხოლოდ ანარქისტებს, რომელნიც პარლამენტარიზმს ოპორტიუნიზმათ ნათლავენ, და დემოკრატიის, ე. ი. ხალხის დიდი უმრავლესობის სამსახურს—მოღალატეობათ. მათთვის უმცირესობის დიქტატურაც საკმარისია სოციალური გადაქმნისათვის. და ლენინი კიდეც ახორციელებს ამ უმცირესობის დიქტატურას სისხლითა და მახვილით. მაგრამ განა ამით გამარჯვება მიენიჭება მუშათა კლასს? სრულიადაც არა, დღემდის ჩვენ ვხედავთ მხოლოდ, რომ იგი სისხლისაგან იცლება, ხოლო მის მტერთა და მოძულეთა რიცხვი იზრდება. და ტაქტიკა, გზა, რომელიც ამრავლებს მტრებს და ამცირებს მოყვარეთა რიცხვს, არის დამღუპველი, საზარალო და მიუღებელი მუშათა კლასისთვის. იგი ანტი მუშურია, თუნდაც მას პროლეტარიატი მისდევდეს.

აი ასეთი გზით მიდის დღეს ლენინის რუსეთი და მიუხედავად თავის შეუდარებელ გმირობისა, მიუხედავათ განუზომელი ენერგიისა და თავდადებისა, რომელიც გამოიჩინა რუსეთის რევოლიუციურმა მუშათა კლასმა, ლენინის ცუდი ტაქტიკის წყალობით, იგი მაინც დამარცხების პირათ სდგას და მთელ თავის ძალ-ღონეს ამ გამრავლებულ მოწინააღმდეგეთა მოგერიებას ალევს.

და საქართველოს დემოკრატიაც რომ ამ გზას გაჰყვეს და თავის მტერთა რიცხვის გამრავლებას ხელი შეუწყოს,—ეს იქნება არა სოციალიზმის მოახლოვება, არამედ დამარცხების. აი ამიტომ ჩვენ ვერ გავყვებით ბოლშევიკებს. და რადგან მათ არ მოისურვეს ჩვენს ნაცად მარქსისტულ გზას დასდგომოდენ, ჩვენი ტაქტიკა მიეღოთ, ჩვენს პოლიტიკას დამორჩილებოდენ, ცხადია ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორებოდით.

და რამდენიც უნდა იბუზღუნონ ბოლშევიკებმა, რამდენიც უნდა ავსონ გაზეთები ჩვენი ლანძღვით და კრებები აამყრალონ ჩვენი გინებით—საქართველოს დემოკრატია მაინც თავის გზას არ გადაუხვევს, ხოლო მათ კი ადვილათ შეელევა თავიდან მოსაშორებლათ, მით უმეტეს, რომ ამ ანარქისტებისაგან მას დახმარება არ ახსოვს, ხელის შეშლა და ზურგიდან თავდასხმა გასაჭირის დროს კი ბევრჯერ განუცდია. ამიტომ ჩვენ ახლაც იგივე უნდა ვუთხრათ ამ ძველ მტრებს და ახალ მუხანათებს: მიბრძანდით თავის სოვდეპიაში, ჩვენ უთქვენოთაც სწორი გზა გვაქვს ევროპის მუშათა კლასთან და მის ინტერნაციონალში მონაწილეობით და ასე მის რაზმში ჩადგომით მივდივართ მომავალი სოციალიზმის ბრწყინვალე დღეებისაკენ.

## პრესა

ბოლშევიკების „ნაბატი“ დორბლებს ჰყრის თფილისის მუშათა საბჭოს რეზოლიუციის გამო. მას ვერაფერი მოუხერხებია სთქვას არსებითად და ისტერიკაში ჩავარდნილი ჯავრს საბჭოს შემადგენლობაზე იყრის.

აბა მოუსმინოთ როგორ ახასიათებს იმ საბჭოს, რომლის თანხმობას სიეზდის მოწვევის შესახებ ის ასე დაჟინებით ითხოვდა და ელოდა.

„არჩეული მოჟორიტარული სისტემით 1917წ., მიტოვებული ყველა პარტიების მიერ, გარდა მენშევიკებისა, შევსებული უკანტროლოთ სოციალ-პატრიოტების მიერ პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტებით, რომლებიც არაფრით არ არიან დაკავშირებული მუშათა მასასთან და რომელიც იკრიბება მხოლოდ იმისთვის, რომ დაადასტურონ საქ. მთავრობის კონტრ-რევოლიუციონური აქტები—ეს, უკაცრავათ პასუხია, მუშათა საბჭო მთელი თავის არსებით მხოლოდ იმის ცდაშია, რომ დაფაროს საქართველოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ სხეულზე ყოველგვარი მოღალატეობა თავის მთავრობისა“.

სასაცილოა, როცა „ნაბატი“ თფ. საბჭოს საარჩევნო სისტემას და მის ფრაქციულ შემადგენლობას იწუნებს!

კარგს იზამდა „ნაბატი“ წაეკითხა თავისი ფელეტონები, კომუნისტების მერვე ყრილობის შესახებ, რომ გაეგო, თუ რას წარმოადგენს ის კომუნისტური საბჭოები, რომლითაც მოფენილია საბჭოთა მთავრობის ტერიტორია!

ყოველ შემთხვევაში თფილისის მუშათა საბჭოს, რომელსაც ასეთი ღირსებით და შეგნებით დღემდის ამაყათ უჭირავს პროლეტარიატის წითელი დროშა, არავითარი სურვილი არ აქვს იყოს კომუნისტების მოსაწონი და საქებარი...

## საქართველო და მისი ბედი

### XII

### მონოპოლიის აუცილებლობა.

სახელმწიფოს ამშენებლობა საქართველოში ჯერ არ დამთავრებულა. ჯერ კიდევ ბევრი შრომა და ენერგია გვჭირია, რომ მოვაწესრიგოთ, ნორმალურ კალაპოტში ჩავაგდოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

მიზეზი ამ მოუწესრიგებლობისა უნდა ვეძიოთ არა მარტო ჩვენს გამოუცდელობაში.

ნუ დავივიწყებთ, რომ დიდი განსხვავებაა დღევანდელ გაევროპიელებულ საქართველოსა და ამ ასი წლის წინანდელ აზიურ საქართველოს შორის.

რამდენად პრიმიტიული და მარტივი იყო ცხოვრება ძველი საქართველოს სახელმწიფოისა, იმდენად რთულია დღევანდელისა. თუ ამ ასი წლის წინეთ აზიური საქართველოს სამეურნეო კარჩაკეტილობა თითქმის არ აკავშირებდა საერთაშორისო ბაზართან, რის გამო იგი (საქართველო) რჩებოდა ევროპის ყოველ ღრმა პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილების გავლენის გარეშე, პირიქით, დღევანდელი საქართველო მჭიდროთ გადახლართულია ეკონომიური ძაფებით როგორც მეზობელ, ისე ევროპის სახელმწიფოებთან, რის გამო ყოველივე ეკონომიური და ფინანსიური ცვლილება და რყევა იქ, იმ წამსვე იწვევს შესაფერ რყევას და ცვლილებას აქ, ჩვენში. თუ ამ გარემოებას დაუმატებთ მსოფლიო ომით გამოწვეულ ევროპაში საწარმოვო ძალთა დანგრევას, მრეწველობის შეჩერებას, საერთოთ ფინანსიურ კრიზისებს, რაც ახდენს დიდ გავლენას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე და შესამჩნევათ იმორჩილებს მას, რადგან საქართველო წარმოადგენს უფრო მომხმარებელ, ვიდრე მწარმოებელ ქვეყანას, მაშინ ადვილად დათანხმდებით, რამდენად ართულებს ჩვენ გამოუცდელობას სახელმწიფოს ამშენებლობაში ზემოდ აღნიშნული ფაქტორები.

მიუხედავათ ამისა, რაკი ბედმა გვარგუნა მესვეურობა, ამ გამოუცდელობამ არ უნდა მიგვცეს სასოწარკვეთილებას, პირიქით, გაორკეცებული ენერგიით, უფრო მეტის უნარით მოვალენი არიან ჩვენი მეთაურნი შეუდგნენ მცოდნე პირების დახმარებით, ცოცხალი ძალების შემოკრებით გზების გამონახვას, ზომების მიღებას, რომ ააცილონ საქართველოს თავიდან ის უდიდესი და უსაშინელესი საფრთხე, რომელიც მოელის მას სასურსათო და ფინანსიური კრიზისების მხრივ.

თუ მალე და დროზე არ იქნა მიღებული ზომები ამ საფრთხის ზრდის შესაჩერებლად, მაშინ აუცილებელია ეკონომიური კრახი, რომელიც მოუღებს ბოლოს საქართველოს და მის დამოუკიდებლობას. ამ რიგათ სასურსათო და ფინანსიური კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს საქართველო, წარმოადგენს ქართველ ერისთვის უფრო მეტ საშიშროებას ვიდრე კარზე მომდგარი გარეშე მტერი ან შინაური კონტრ-რევოლიუცია. ამ უკანასკნელ მტრებთან ბრძოლაში ჩვენმა მთავრობამ არა ერთხელ დაამტკიცა მათი მოგერებით თავისი სიძლიერე, გამჭრიახობა და უნარი.

გაცილებით უფრო მეტ უნარს, სიფხიზლეს და სიმტკიცეს აკისრებს ჩვენს მთავრობას დღევანდელი შექმნილი საქართველოში ეკონომიური სიდუხჭირე.

დღეიდან ამაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს პირველ კითხვას მთავრობის მოქმედების წესრიგში.

ალებ-მიცემობის მოწესრიგებაში, სასურსათო საქმეების მოგვარებაში და ამით საქართველოს ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში მთავრობამ უნდა გამოიჩინოს მეტი სიმტკიცე, და სისასტიკეც თავისი ეკონომიური პოლიტიკაში. მსოფლიო ომის წყალობით დღეს ეკონომიური ცხოვრების აწეწ-დაწეწვის უბედურება საქართველოისა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა, იმაში გამოიხატება, რომ არ მოეპოვებათ ისეთი მტკიცე ვალიუტა, რომელიც შესძლებს შეიტანოს სიმშვიდე და წესიერება ალებ-მიცემობაში, ერთგვარი სიმაგრე სახელმწიფოს ფინანსებში.

უვალიუტობა, ესე იგი უქონლობა იმ საქონლისა, რომელიც შეადგენს ყველა სახელმწიფოთათვის ერთნაირი ღირებულებას და რომელზედ დიდის ხალისით იცვლება ყოველგვარი საქონელი უცხო ქვეყნების, იწვევს ერის ეკონომიურ ცხოვრებაში არევ-დარევას, სასურსათო და ფინანსიური კითხვების გამწვავებას, რაც უწყობს ხელს სპეკულიანტობას, საქონელზე ფასების ზღაპრულად ზრდას.

ამ გვარად ვალიუტა წარმოადგენს რეგულიატორს ერის ეკონომიურ ცხოვრებაში.

სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია ასეთი მტკიცე სავალიუტო საქონელი, ყოველთვის უზრუნველყოფილია ეკონომიურ პერტურბაციებისაგან და სპეკულიანტების ალვირ აშვე-

# დ ღ ე ს

**ინგლისის მუშათა კონფერენციაზე გენდერსონმა გამოაქვეყნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშების დადგენილება, რომ 21 ივლისს მოაწყობენ დემონსტრაციებს.**

**რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა გერმანიაში გრძელდება. კენჭის ყრით გადაწყდება განაგრძონ გაფიცვა თუ შეუდგენ მუშაობას.**

**გერმანიის სამხედრო შტაბი მოუწოდებს ჯარს მტკიცეთ დაიცვან მთავრობა და სამშობლო.**

**გერმანიის სამრეწველოების წარმომადგენელნი რუსეთში წავიდნენ, რათა ადგილობრივ გაეცნონ მომავალ ვაჭრობის შესაძლებლობას.**

**საბჭოთა ჯარმა ცარიცინი დასტოვა.**

---

ბისაგან. ასეთი სახელმწიფო სარგებლობს უცხო ქვეყნების ფართო კრედიტით და დიდი ნდობით, სავალიუტო საქონელს სახელმწიფო აუცილებლივ ხდის თავის მონოპოლიათ იმ მიზნით, რომ ეს საქონელი არ გადიქცეს კერძო პირთა ხელში იმ ეკონომიურ ძალათ, რომლის საშუალებით სახელმწიფოს მთელ აპარატს დაატრიალებენ თავიანთ კერძო ინტერესების მიხედვით. ასეთს ვალიუტას მსოფლიო ომის დაწყებამდე და დღესაც შეადგენს ოქრო იმ სახელმწიფოებისთვის, რომელნიც გადარჩნენ საერთაშორისო ქარიშხალისაგან.

საქართველოს არა აქვს ეს ოქრო. არა მარტო საქართველოს, ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც, რადგან ომის დროს დიდი ძალი ოქრო გაიპარა ევროპიდან ამერიკაში და იაპონიაში.

ამ ერთი წლის წინეთ ეკონომისტები სწერდნენ, რომ ევროპიდან ამერიკას იმოდენა ოქრო მიაწყდა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული გახდა შეეჩერებია ევროპის ოქროს დენა თავის ქვეყანაში, რადგან თავმოყრილი დიდძალი ოქროს ღირებულება უკვე ეცემოდა.

საქართველოს არა აქვს ოქროს ვალიუტა, არა აქვს აგრეთვე არც სხვა სავალიუტო საქონელი. არის კი საჭირო და აუცილებელი, რომ ასეთი საქონელი აღმოაჩინოს მთავრობამ და გამოაცხადოს მაზედ თავისი მონოპოლია, თუ არ გვინდა, რომ მოსალოდნელი ეკონომიურ კრახმა არ შთანთქას საქართველო და მისი არსებობა.

ეს კითხვა წამოაყენა თვით ცხოვრებამ, საქართველოს ეკონომიურ სიდუხჭირემ და მედგრათ მოითხოვს მთავრობისაგან იყოს გადადგმული ამ მხრით გაბედული ნაბიჯი.

რომელი საქონელია სავალიუტო საქართველოში როგორც შინაური, ისე საგარეო აღებმიცემობაში, რა გზით და როგორ უნდა მოაგვაროს ვალიუტის საქმე ჩვენმა მთავრობამ, რა აპარატი დასჭირდება ამისთვის, ამაზე შემდეგ წერილში.

ქ. კახელი.

# უკანასკნელი ცნობები

### ბ ა თ უ მ ი.

**რუსული ფულის ფასი.**

იტალიელთა მოსვლის შემდეგ ბათუმში კერენსკის და ნიკოლოზის ფულის კურსი საგრძნობლათ დაეცა.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**იტალიის ჯარისთვის;**

29 ივნისს ქუთაისში იტალიელი აფიცრები ჩავიდნენ ჯარისთვის ბინების წინასწარ დასამზადებლად. საჭიროა ბინა 1500 ჯარისკაცისათვის, 300 ცხენისათვის, გოსპიტალისა და სამხედრო შტაბისთვის,

### ბ ა ქ ო.

**მობილიზაცია.**

ბაქოში გამოცხადდა დამატებითი მობილიზაცია. სამსახურში იწვევენ 1894, 95, 96, 97, 98 და 99 წლებში დაბადებულ მუსულმანებს.

**მოხალისეთა საფრთხე.**

მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმმა აცნობა პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციას, რომ პრეზიდიუმის მიერ შეკრებილი ცნობით ბაქოში კრასნოვოდსკიდან მოვიდა მოხალისეთა ჯარის შტაბი და პეტროვსკში იტვირთება 2 გემი მოხალისეთა ეშელონებით, რომელთაც რაღაც მიზნით ბაქოსკენ გზავნიანო.

**ადერბეიჯანი და სპარსეთი.**

ადერბეიჯანის მისია თეირანში ყოფნის დროს სპარსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან საუბრის დროს შეეხო სპარსეთის დელეგაციის განცხადებას ვერსალში ადერბეიჯანის ხარჯზე სპარსეთის ტერიტორიის გადიდების შესახებ. ვისოდ დოულემ ამის გამო ადერბეიჯანის მისიას განუცხადა, რომ დელეგაციას გაეგზავნა პროტესტი და წინადადება მიეცა უარყოს ეს ცნობაო. ამასთანავე ვერსალში დეპეშა გაეგზავნა სპარსეთის დელეგაციას, რომ კონფერენციის წინაშე მხარი დაუჭიროს ადერბეიჯანის დამოუკიდებლობასო. მინისტრის განცხადებით ამ ჟამად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სპარსეთის ტერიტორიის გაფართოვება, ვინაიდან კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობისთვის არსებული ტერიტორიის საზღვრები საკმარისი იქნება 200 წლის განმავლობაშიო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 ივლისი.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

ხუთთა საბჭოს შეადგენენ: პიშონი, ლანსინგი, ბალფური, ტიტონი და მაკინო. ხუთი საგარეო საქმეთა მინისტრის საბჭოს სხდომას, ივლისის 2, კლემანსო და ჩადაც დაესწრნენ. მათი მონაწილეობით შეიმუშავეს მოქმედების როგრამა და დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც განიხილავენ ყველა საკითხს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბელგიის მთავრობის გაზეთი „მეოცე საუკუნე“ სწერს: „ზავი მოპოვებულია, ეხლა ნება მოგვეცით მოვემზადოთ საბრძოლველათ არამც თუ გერმანიის, არამედ ბალშევიზმის წინააღმდეგაც.

რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. შაბათს კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს საკითხი: მიიღონ მთავრობის პირობები და განაახლონ მუშაობა თუ არა. უკანასკნელ დრომდე სრული ცნობები ჯერ არ მოსულა. ბრესლაუში კენჭის ყრით გადასწყვიტეს მუშაობის განახლება და მიმოსვლა განახლდა.

ფრანგული პრესა აღნიშნავს, რომ გერმანელების მიერ „ლუზიტანია“-ს დაღუპვის სწორედ წლისთავზე შეიკრა ზავი; გერმანელი პრესა კი აღნიშნავს, რომ ერცჰერცოგის სარაევოში მოკვლის დღის წლისთავზე შეიკრა ზავი. ეს მკვლელობა, რომელიც სერბიის დაუხმარებლათ არ მომხდარა, გადაიქცა ნიშნათ კოალიციის შექმნისა ავსტრიის, გერმანიის და ოსმალეთის გასაძარცვათ.

გერმანიაზე გაიარა გენ. ჰალერის ჯარის უკანასკნელმა ტრანსპორტებმა დიდ ძალი არტილერიით.

კონფისკაცია უყვეს გაზ. „დოიტშე-ცეიტუნგ“-ს, რომელიც მძულვარებისა და შურის ძიებისკენ მოუწოდებდა.

გერმანულმა გაზეთებმა „ჰუმანიტე“-დან გადმობეჭდეს წერილი, რომელშიაც საზავო ხელშეკრულების მოწერის შესახებ ნათქვამია: „დღევანდელ მნიშვნელოვან დღეს, რომელმაც ზავი მოგვიტანა, არ შეგვიძლია არ განვაცხადოთ პროტესტი, რადგან ეს მოვალეობად მიგვაჩნია ჩვენთვის, როგორც სოციალისტებისთვის, რომელნიც სახელმწიფოს მომავალზე ფიქრობენ. ჩვენ არ ვღებულობთ და გადაჭრით უარსვყოფთ ასეთი ზავის პირობებს, რადგანაც ეს პირობები არამც თუ უსამართლოა, არამედ საფრანგეთის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება. ხალხს სჯეროდა ის დაპირებანი, რომლითაც აღფრთოვანებდნენ მებრძოლთ 4 ნახევარ წლის ომის განმავლობაში. ხალხს სწამდა სიტყვები პრეზიდენტ ვილსონისა, რომელიც ეხლა დამარცხებულია არა ნაკლებ პრუსიის მილიტარიზმისა.

გერმანიის სამრეწველოების წარმომადგენლები რუსეთში წავიდენ: მათ გერმანიის და მოსკოვის მთავრობათაგან ნება დართული აქვთ, ადგილობრივ გაეცნონ მომავალ ვაჭრობის შესაძლებლობას.

მხატვარი მარინისტი გრიბლი, რომელიც გერმანიის გემების დაღუპვას დაესწრო, ლონდონის „ტაიმს“-ს აუწყებს, რომ ოფიცერმა ბრძანება გასცა თავდაუცველ გერმანელებისთვის ესროლათ და ამის გამო 4 კაცი იქნა მოკლული.

სამხედრო შტაბმა ჯარს მიმართა მოწოდებით, სადაც ის მოუწოდებს მათ მტკიცედ დაიცვან მთავრობა ლა სამშობლო.

რამდენიმე ოფიცერი და გენ. ჰოფმანი სამართალში უნდა მისცენ სახელმწიფო ღალატისთვის, რადგან ზავის შეკვრის შემდეგ ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარს ურჩობისკენ მოუწოდებდნენ.

ბერლინის ფოსტის და ტელეფონის მოსამსახურეთა გაფიცვა დასრულდა.

ბერლინის ზოგიერთი გაზეთი ზავზე ხელის მოწერის გამო სამგლოვიარო არშიით გამოვიდა. ამავე მოსაზრებით გერმანიის უნტეროფიცერთა კავშირმა შემდეგი ბრძანება გამოუშვა: „გერმანია იძულებული იყო სამარცხვინო ზავზე ხელი მოეწერა და თავისი ხალხის წევრები მოკავშირე ერებს უნდა გადასცეს, რათა თავიდან აიცილოს სრული დარღვევა. ამხანაგებო, თქვენ გთხოვთ, როგორც ჩვენი სიმწუხარის გარეგანი გამოხატულება, ორი კვირის განმავლობაში ძაძა ატაროთ.“

**ბალშევიკების ცნობები**

**მოსკოვი**, ივლისის 2. **სამხედრო ცნობა.** ცარიცინის რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენ ცარიცინი დავტოვეთ. **აღმოსავლეთის ფრონტი.** სტერლიტამაკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბეზიახი დაიჭირა. უფის რაიონში ზლატოუსტის მიმართ. ჩვენ სად. მინიარი დავიჭირეთ. გოლოდავკასთან ჩვენ 200 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ ტყვიისფრქვეველები. **პეტერბურგი**, ივნისის 27. დაიწყო პეტერბურგის საბჭოს არჩევნები, რომელზედაც კომუნისტები იმარჯვებენ. ოლონეცის მაზრა თეთრფინელთაგან გავწმინდეთ. მოწინააღმდეგე გარბის.

„პრავდა“ სწერს: მოკავშირეებმა კოლჩაკი აღიარეს. კოლჩაკი ჩვენ დავამარცხეთ. დენიკინი ბურჟუების უკანასკნელი იმედია. (გამოტოვებულია)... ვისაც სურს მტკიცე ზავი, იარაღს მოკიდოს ხელი. **№-ის არმიის შტაბი.** ჩვენ მხარეზე გადმოსულები გადმოგვცემენ, რომ ტომსკს ბალშევიკ-მოხალისეთა პარტიზანული რაზმი უახლოვდება. კოლჩაკელებმა ბალშევიკების წინსვლის შესაჩერებლად მდ. ობზე ხიდიააფეთქეს და 70 ვერსის მანძილზე გზა გააფუჭეს. **ვენა**, 1 ივლისი. ბრბომ გაანთავისუფლა ყველა დაპატიმრებული კომუნისტი. დემონსტრანტები შემდეგ ყაზარმებისკენ გაემართნენ, რათა ჯარი თავის მხარეზე მიემხროთ. დემონსტრაციები საღამომდე გაგრძელდა. მოძრაობა თანდათან ფართოვდება. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ჯავშნიანი ავტომობილები, რომლის დაბრუნება მთავრობას აღარ შეუძლია. **ნაუენი**. 1 ივლ. რკ. გზელთა გაფიცვების დაწყებასთან ერთად გაძლიერდა ბერლინში და გერმანიის სხვა ქალაქებში დიდი ხნის დაწყებული გაფიცვები. **სტოკჰოლმი**. ივნის. 25. საერთო მოძრაობა ინგლისის მუშებში თანდათან იზრდება. მუშების გაფიცვებთან ერთათ პოლიციელთა გაფიცვას მოელიან არა მარტო ლონდონში, არამედ სხვა ქალაქებშიაც. პოლიცია პროფესიონალურ კავშირის დაარსებას მოითხოვს. საერთო მდგომარეობა ინგლისის მთავრობისთვის საშიშოა. ლონდონიდან იუწყებიან, რომ კანადაში ქ. ვინიპეგში საალყო წესები გამოაცხადეს. ფრანგულ გაზ. „ჰუმანიტე“-ში სოციალისტების შემდეგი მოწოდება იყო დაბეჭდილი: „მუშებო და გლეხებო, თვენ იცით საფრანგეთის ჯარის სიმამაცე შავ ზღვაზე, მან უარი განაცხადა ჟანდარმიის როლში გამოსულიყო მათ წინააღმდეგ, ვინც წითელი დროშა აღმართა. ეხლა სოციალისტური პარტია მოგიწოდებთ თქვენ, იტალიის და ინგლისის მუშებს, შეუერთდით მათ, ვინც გაფიცვას გამოაცხადებენ, თუ ინგლისის ჯარი რუსეთიდან არ იქნება გამოყვანილი. პირველ მოწოდებისათანავე გამოდით რუსეთის და უნგრეთის რევოლიუციის დასაცავად. **ჰელსინფორსი**. ივნისის 28. ლონდონში ინგლისის მუშათა კონფერენციაზე გენდერსონმა გამოაქვეყნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშების დადგენილება, რომ ივლისის 21 დემონსტრაციები მოაწყონ.

# ახალი ამბები

**ფრონტის დღე.** მეომართა დამხმარე კომიტეტისა და საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე გადაწყდა ფრონტის დღეს მიზნის შესაფერისად მოწყობილ იქნეს 19 და 20 ივლისს. მოთავენი უკვე შეუდგენ ერთგულ მუშაობას, ეს დღე რესპუბლიკის ყველა კუთხეებში იქნება მოწყობილი. მოწვეულია სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. განზრახულია ორიგინალურისა და ფართო პროგრამის განხორციელება ყველა ძალების მობილიზაციით. მეომართა კომიტეტი ამ ჟამად მის მიერ გადადებული 200 ათასი მანეთიდან იძენს ფრონტისათვის სხვა და სხვა ნივთებს, რომელთაც ფრონტის დღის მოწყობამდე დაუყონებლივ გადაგზავნის ფრონტზე. სავალდებულოა, რომ ყველამ, ვისაც სწამს ჩვენი დამოუკიდებლობა და ხალხის მომავალი, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ დღის მოწყობაში.

✦ **აბრეშუმის პარკი.** მთავრობის მიერ გადაწყვეტილია შეუდგეს კერძო-ვაჭრებისა და კოოპერატივების მიერ შეძენილ ძველი პარკის შეგროვებას უცხოეთში გასატანად. პარკის პატრონებს ამ თავითვე მიეცემათ ქუთაისის ხაზინიდან მათ პარკის ანგარიშში ბეები, რომ შეძლება ექნეთ შეუდგენ ახალი პარკის ყიდვას. მთავარ რწმუნებულად ამ საქმეში მთავრობის მიერ დანიშნულია ქუთაისის საბრეშუმო სადგურის გამგე იოსებ ქუთათელაძე, რომელსაც დაინტერესებულ პირთ უნდა მიმართონ ქუთაისში, სააბრეშუმო სადგურში.

✦ **სეირნობის შემოსავალი.** 28—29 მაისს, სასახლის ბაღში, ფრონტზე დახოცილ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ გამართულ სეირნობიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 80,000 მანეთზე მეტი. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ გამოქვეყნდება. ოცამდე დახოცილთა ოჯახებს შემწეობა უკვე აღმოუჩინეთ. დანარჩენი ფული ინახება ერთ-ერთ რკინის გზის კასაში. იმ ოჯახებმა, რომელთაც დახმარება ესაჭიროება, უნდა მიმართონ კომისიის წევრებს პირველ რაიონის კოლექტივში და ამავე რაიონის გვარდიის შტაბში.

✦ **გზათა ტეხნიკოსების გამოცდები.** შაბათს, 5 ივლისს, დილის 10 საათზე თფილისის საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში დაიწყება გამოცდები გზათა ტეხნიკოსის წოდების მისაღებათ. გამომცდელ კომისიაში შედიან სასწავლებლის დირექტორი, მასწავლებელნი და გზათა სამინისტროს წარმომადგენელნი.

✦ **სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების და კოოპერატივების მოსამსახურეთა საყურადღებოთ.** კვირას, 6 ივლისს, დილის 10 საათზედ, ზუბალოვის სახალხო სახლში შესდგება საზოგადო კრება კავშირის წევრებისა, რომელზედაც უნდა აირჩიონ გამგეობის წევრები და სხვა. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრნენ კრებას და თან იქონიონ საწევრო წიგნაკები.

✦ **საფინანსო სააგენტო ბათომში.** საქართველოს რესპ. ფინანსთა სამინისტროს განზრახული აქვს დაარსოს ბათომში განსაკუთრებული საფინანსო სააგენტო, რომელსაც მიზნათ ექნება საზღვარ-გარეთთან საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმის ფართე ნიადაგზე დაყენება.

✦ **საპყრობილეთა სარევიზიო კომისია.** სარევიზიო კომისიამ დაასრულა რევიზია საპყრობილეთა და თავის მოხსენებას ამ დღეებში წარუდგენს იუსტიციის სამინისტროს.

✦ **ხოლერის აცრა** ქალაქის საავათმყოფოში უკვე დაიწყო. აცრის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია. მიღებულია ზომები აცრის საქმის გასაუმჯობესებლათ.

✦ **გაფიცვა ფოთში.** ფოთის ხის სახერხაქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე. სწარმოებს მოლაპარაკება.

✦ **სააქციონერო საზოგადოება „ევრაზია“.** 2 ივლისს ფინანსთა სამინისტროს საბჭომ განიხილა წესდება სააქციონერო საზოგადოების „ევრაზია“—საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობის მოსაწყობათ 2 მილ. ძირეული თანხით. ეს წესდება დამტკიცებულ იქნა.

✦ **სატრაქტირო გადასახადის განაწილება.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სატრაქტირო გადასახადის—2,341,235 მან. განაწილება სასადილოებსა და ტრაქტირთა შორის.

✦ **ბირჟის დაარსება.** 2 ივლისს ფინანსთა სამინისტროს საბჭოს ჰქონდა მსჯელობა საფონდო ბირჟის დაარსების შესახებ. ზოგიერთ წევრებმა გამოსთქვეს სურვილი არა საფონდო ბირჟის არამედ—საქონლის ბირჟის დაარსებისა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადასწყვიტეს შეეკითხონ სავაჭრო პალატას.

✦ **ლექციები.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მერვე განყოფილებაში (ავლაბარი, კახეთის მოედანი, ადგილობრივ კლუბის შენობაში) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ეპ. ალშიბაიას „ელექტრობა და ორთქლის ძალა“, 2) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“, 3) სერ. ჟორჟოლიანისა „საქართველოს მწერლობის ისტორია“.

✦ **საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა** მეორე ყრილობამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას.

✦ **უბედური შემთხვევა.** 30 ივნისს დილის 9 საათზე ინგლისელთა ავტომობილი გოლოვინის პროსპექტზე დაეჯახა ასლან ავალიანს და ძლიერ დააშავა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **თფილისის საშუალო ტეხნიკურ** სასწავლებელთან არსებული სარკინისგზო სასწავლებელი წელს დაამთავრეს: არჩუაძე ვლადიმერ, ვაშაკიძე შალიკო, ედიბერიძე კონსტანტინე, კაკალაშვილი მიხეილ, კაჭახიძე გიორგი, კველიძე ნიკოლოზ, ქურდაძე გიორგი, მელიქაძე ტიტ., მშვენიერიძე ნიკ., ცხვარაძე ეპიფ., შენგელია ალექ., შენგელია სამსონი.

✦ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველომ მიიღო: დავით მაჭავარიანისაგან 1000 მ., ნინა მაჭავარიანისაგან 300 მან., იასონ მაჩაბელისაგან 350 მ., დომენტი

ჩოჩიასაგან 200 მ., ნ. სიხარულიძესაგან 500 მან., ნ. პ. სიზიაკინისაგან 100 მ., ბაშარულისაგან 20 მ., ივაკიმიანისაგან 50 მან.

✦ **ლუარსაბ ბოცვაძის** გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილები მივიღეთ სამტრედიის რაიონის მასწავლებელთა კავშირის გამგეობისაგან და ოზურგეთის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კრების მონდობილობით ბ. მენაბდისაგან და მარტყოფის თემისაგან.

### კ რ ე ბ ე ბ ი

დღეს, საღამოს 7 საათზე თავის ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, სახლი № 9) დანიშნულია ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

— დღეს, 4 ივლისს შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა საბჭოს ბინაზე.

### პროვინციის ქრონიკა

**გორი.** 10 ივლისს გამგეობის შენობაში დანიშნულია გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა მიმდინარე საკითხების განსახილველად.

**დ. გალში** (სამურზაყანო). 15 აგვისტოს გაიხსნა და პირველ სექტემბრამდე გაგრძელდება იარმარკა. იარმარკაზე გამოტანილი იქნება ჩვეულებრივი ადგილობრივი ნაწარმოები.

# უცხოეთი

### რუსეთი და გერმანია.

გაზ. „ტაიმსის“ 31 მარტის ნომერში მოთავსებულია წერილი, რომელიც; ეხება რა მოკავშირეების პოლიტიკას რუსეთის ბალშევიზმის მიმართ, აღნიშნავს იმ საფრთხეს, რომელიც მოსალოდნელი იქნება მოკავშირეებისათვის იმ შემთხვევაში, თუ გერმანია შეუკავშირდება რუსეთს. ადვილი შესაძლებელია, ამბობს გაზეთი, გერმანია შეუკავშირდეს ნამდვილ რუსეთს—ტირანიის წინააღმდეგ. იმ ტირანიის, რომელიც რუსეთშივე არის დამკვიდრებული. ასეთ კავშირს ექნება დიდი მნიშვნელობა გერმანიისთვის, როგორც მატერიალურათ, ისე მორალურათ. თუ გერმანია დაეხმარება რუსეთს, საშუალო კლასი, რომელიც გერმანიის დახმარებით ფეხზე წამოდგება, შეეცდება აუნაზღაუროს გერმანიას ზარალი და დააჯილდოვოს იგი იმ დახმარებისთვის, რომელსაც გერმანია მას გაუწევს. ასეთ კავშირს მორალური მნიშვნელობაც ექნება. გერმანია, რომელიც შესძლებს ბალშევიზმის ლიკვიდაციას, ხალხის თვალში მხსნელ სახელმწიფოთ იქნება მიჩნეული და დავიწყებას მიეცემა ის ბოროტება, რომელიც გერმანიამ მიაყენა მთელ კაცობრიობას და კერძოთ რუსეთს ომის დროს. წერილის ავტორს შესაძლებლათ მიაჩნია მეორენაირი კომბინაცია. იმპერიალისტური გერმანია შეიძლება დაუკავშირდეს ბალშევიკების მთავრობას. (უკიდურესობანი ხშირათ ერთდებიან). ეს ახალი მოკავშირეები შეეცდებიან საერთო ძალღონით დაუკარგონ ხალხთა ლიგას ავტორიტეტი და მომავალი ზავი ჩაშალონ. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებს ესმით ის საშიშროება, რომელიც მოყვება გერმანია რუსეთის კავშირს. ამ კითხვის გარშემო ორი მიმდინარეობა არსებობს. ზოგი იმ აზრს იზიარებს, რომ კონფერენციამ უნდა აიძულოს გერმანია ებრძოლოს ბალშევიკებს. წერილის ავტორს არ მიაჩნია ეს მოსაზრება მიზან-შეწონილად. რა გარანტია იქნება იმისა, რომ გერმანია ბოროტათ არ მოიხმარს თავის მდგომარეობას რუსეთში და არ შეეცდება მოიპოვოს იქ პრივილეგიური მდგომარეობა. ახლანდელი გერმანია შეიძლება დაშვებულ იქნას ხალხთა ლიგის წევრათ. შესაძლებელია სხვა და სხვა მანდატებიც მიიღოს მან, მაგრამ ეს შეუძლებელია მოხდეს მანამდე, ვიდრე იგი არ შეასრულებს საზავო პირობებს და აგრეთვე არ გამაგრდებიან ის პატარა სახელმწიფონი, რომელნიც ჩვენ მიერ შექმნილ იქნენ აღმოსავლეთ ევროპაში. მეორე მიმდინარეობა იმ აზრისა არის, რომ მოკავშირეებმა კავშირი უნდა დაიჭირონ ბალშევიკებთან და მათ უნდა აანაზღაურებინონ ზარალი, რომელიც მოუვათ მოკავშირეებს დახმარების აღმოჩენის დროს. ეს გზაც არ მოსწონს გაზეთს. თუ ჩვენ ბალშევიკებს შევუერთდით, ამით რუსეთის საუკეთესო შვილებს მოვიმდურებთ და აგრეთვე არ გვსურს მივეკაროთ ისეთ ფულებს, რომელიც ჩვენ ჭუჭყს მოგვცხებსო.

წერილი თავდება ამ გაზეთისათვის ჩვეულებრივ დებულებით—საჭიროა დავეხმაროთ იმ ძალებს, ვინც ბალშევიკებს ებრძვისო.

### 1918 წ. ინგლისის ბიუჯეტი.

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა 1918 წ. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი. ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი ნავარაუდევი ყოფილა 842 მილიონი გირვანქა სტერლინგი. შემოსულა 889 მილიონი გირვანქა. გასავალი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად უნდა ყოფილიყო 2977 მილ. გირ. სტ. დახარჯულა 2579 მილიონი გირვანქა მხოლოდ. ხარჯების შემცირება აიხსნება მით, რომ ომი შესწყდა ნოემბერში, ბიუჯეტი კი წლის ბოლომდე იყო ნაანგარიშევი.

### მცირე ინსტრუქცია—ქალაქის და მაზრის მილიციის მოხელეთადმი.

გამოძიების წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციის მოხელეების მიერ შედგენილ ოქმს. მილიციის მოხელეები კი ხშირათ ანგარიშს არ უწევენ ყველა იმ წესებს, რომელიც დადგენილია კანონით. ოქმები იწერება—ყოველი წესის დარღვევით და გამომძიებელი იძულებული ხდება სისხლის სამართლის წარმოების წესდების მე-309 მუხლის ძალით მოსპოს საქმე. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ წესს და გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს რესპუბლიკას ჯერ კიდევ საკმაოთ გაწვრთნილი და საქმის მცოდნე ადმინისტრაციის მოხელენი არ ჰყავს, მაშინ ცხადი იქნება ის, თუ რა მავნე შედეგის მოტანა შეუძლიან ამ გარემოებას მართლმსაჯულებისათვის. შეიძლება მილიციონერს კარგი სურვილები ასულდგმულებდეს, შეიძლება განზრახვაც ჰქონდეს პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა, მაგრამ ყველა ამ კეთილსურვილებს თან უნდა ახლდეს საქმის ცოდნა. ქალაქის გამგეობაში ერთ დროს ამ სიკითხს დიდ ყურადღებას აქცევდენ და ბევრი იმ აზრს იზიარებდა დაარსებინათ მილიციონერებისათვის სკოლა. სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში შესწავლიდენ სამსახურის წესებს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემული მცირე ინსტრუქცია, ფრიად მნიშვნელოვანი და საჭიროა. ამ პატარა წიგნაკში დაწვრილებით არის ახსნილ-განმარტებული ყოველივე წესი, თუ როგორ უნდა იქნას შედგენილი ოქმი, რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე წვრილმანს, მაგალითად, როცა ქურდობაა ჩადენილი, უნდა აღინიშნოს გატეხით (со взломомъ) იყო იგი თუ გაუტეხელად, იარაღით თუ უიარაღოთ. არის დაწვრილებით მოყვანილი ინსტრუქციაში, როგორ უნდა დაჰკითხონ ბოროტმოქმედთ, მოწმეებს, რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და სხვა.

სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ დამნაშავეს სასჯელი მიეზღოს დაუგვიანებლივ და არა დიდი ხნის დაყოვნებით, როცა სასჯელს თავის მნიშვნელობა ეკარგება. ამას კი ხელს უშლის ის გარემოება, რომ მილიციის მოხელენი წესიერად არ აბარებენ გამომძიებელთა და სასამართლოს მიერ გაგზავნილ უწყებებს, არ უწევენ ანგარიშს სისხლის სამართლის წარმოების წესდების მე-222, 326 მუხლებში დადგენილ წესებს და უწყებებს უკან უბრუნებენ გამომძიებელს ან სასამართლოს. თფილისის სასამართლოს პროკურორი ამ ინსტრუქციით წინადადებას აძლევს ყველა უბნის და სოფლის კომისრებს ნიშანდობლივ შეასრულონ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი წესები და ვინც უყურადღებოთ მოექცევა სასამართლოს წესების ასრულებას, მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში და აღიძვრება შუამდგომლობა, რომ სამსახურიდანაც დათხოვნილ იქნენ დაუდევარი მოხელენი. ადმინისტრაციის მოხელენი, თუ ყურადღებით მოეპყრობიან სასამართლო პალატის პროკურორის განცხადებას, გულდასმით გადაიკითხავენ ამ ფრიად მათთვის საჭირო ბროშიურას და შეისწავლიან მას, ამით დიდათ გაუადვილებენ საქმეს ჩვენს მართლმსაჯულებას.

# საქართველოს კოოპერატიული ბანკისათვის

### საქართველოს ყველა კოოპერატივებს.

საქართველოს კოოპერატიული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა საქართველოს ყველა კოოპერატივებს შემდეგი წერილი დაუგზავნა: ამხანაგებო კოოპერატორებო! საქართველოს კოოპერატიულმა ყრილობამ, რომელიც შესდგა ამ წლის 25—28 მაისს, ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს კოოპერატიული ბანკის დაარსების შესახებ. ამასთანავე საქმის დასაჩქარებლად არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

პრეზიდიუმმა უკვე შეასრულა თქვენ მიერ დანაკისრი; შეიმუშავა წესდება, მოიწვია სარაიონო კავშირების და მსხვილი საკრედიტო კოოპერატივების წარმომადგენლები, რომლებმაც წესდება მოიწონეს და ხელმოწერილი წარადგინეს ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

ამხანაგებო, ბანკის მომავალი თქვენს ხელში არის; თქვენზე არის დამოკიდებული, ბანკი დაიწყებს მოქმედებას, თუ საქართველოს კოოპერატიული ყრილობის დადგენილება დარჩება მხოლოდ ქაღალდზე. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა თქვენგანს კარგათ ესმის მნიშვნელობა, რომელიც ექნება ბანკს, როგორც კოოპერატიული თვალსაზრისით, აგრეთვე პოლიტიკურ-ეროვნული მხრივ. დღეს, როდესაც საქართველო ჩამოყალიბდა ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად, საჭიროა, რომ ყველა ჩვენი ძალები ემსახურებოდნენ ახლად აღორძინებულ საქართველოს განმტკიცებას. და ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს განმტკიცება უმთავრესად დამოკიდებულია მის ეკონომიურად აღორძინებაზე. ჩვენი კოოპერატიული მოძრაობა, ანვითარებს რა ხალხში თვითმოქმედების პრინციპს და თვითშეგნებას, საუკეთესოდ ემსახურება ხალხის ეკონომიურ მხრივ აღორძინებასაც. თვით კოოპერატიულ მოძრაობის გასაძლიერებლად-კი საჭიროა ფინანსიური ცენტრი,—კოოპერატიული ბანკი. ჩვენი საკუთარი კოოპერატიული ბანკის არსებობა აუცილებელია; უცხო ბანკები, თუ გინდ კოოპერატიული, საკუთარი ბანკის მაგიეროებას ვერ შეასრულებს. ჩვენ უნდა ვიყვეთ თავისუფალი და დამოუკიდებლად შევდიოდეთ საერთაშორისო კოოპერატიულ ოჯახში.

მაშ, ამხანაგებო, დაუჭირეთ მხარი თქვენს ბანკს, რომელიც უნდა იქნეს გამომხატველი და ამსრულებელი თქვენი ზრახვათა და აზრების, ისე ერთსულოვნად, როგორც ერთსულოვნად და ერთხმად გამოტანილ იყო დადგენილება ამის შესახებ საქართველოს კოოპერატიულ ყრილობაზე; დავამტიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ, კოოპერატორებმა ვიცით არა ლაპარაკი და ლამაზი რეზოლიუციების გამოტანა, არამედ საქმის კეთება. საქმე კი მოითხოვს დაუყოვნებლივ გავაჩაღოთ ადგილობრივ მუშაობა, გავაცნოთ კოოპერატორები ბანკის მნიშვნელობას და ხელი შეუწყოთ ბანკის აქციების ფართე გავრცელებას და მათ განაღდებას.

ბანკის ძირითადი თანხა ჯერ-ჯერობით განისაზღვრება ხუთ მილიონ მანეთით. თითო აქცია ღირება 1000 მან., გამოიშვება 5000 აქცია, აქციების შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს. საჭიროა, რომ ცალ-ცალკე კოოპერატივებმა შეიძინონ არა ნაკლებ ორი აქციისა, რადგანაც მხოლოდ ორი აქცია აძლევს გადამწყვეტ ხმას ბანკის საქმეებში.

ამ დროულად ყველა კოოპერატივებმა უნდა გამოგზავნონ თითო აქციაზე 30 პროცენ. აქციის ღირებულებისა, ე. ი. თითო აქციაზე 300 მანეთი და 50 მანეთი საორგანიზაციო ხარჯებისათვის, სულ 350 მან. თითო აქციაზე, მაშასადამე, ორ აქციაზე 600 მან. და 100 მან. საორგანიზაციო ხარჯებისთვის, სულ 700 მან., სამ აქციაზე 900 მან. და 150 მან. საორგანიზაციო ხარჯებისთვის, სულ 1050 მან. და სხვა. ფული გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: **თფილისი, მოსკოვის სახალხო ბანკი, საქართველოს კოოპერატიულ ბანკის სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხად.**

იცოდეთ, ამხანაგებო, სანამ სახელდახელო ანგარიშზე არ მოგროვდება ერთი მესამედი ძირითადი თანხისა, ე. ი. ერთ ნახევარი მილიონი მანეთი, არ შეიძლება მოვიწვიოთ ბანკის დამფუძნებელი კრება და მით განვახორციელოთ დიადი საშვილიშვილო საქმე.

# ერობათა ექიმების ყრილობა

### (რეზოლიუციები)

**კურორტების, მადნეულ წყლების და ბუნების სხვა მკურნალობითი ხასიათის სიმდიდრეთა შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობის ექიმთა ყრილობამ მოისმინა ექ. აბაკელიას მოხსენება ყრილობის საპროგრამო საკითხზედ „ერობა და ჭლექთან ბრძოლა“ და მიიღო ყველა ის დებულება, რომელიც დასახელებული იყო იმ მოხსენების დასკვნად. რადგანაც ჭლექთან საბრძოლველ სხვა და სხვა საშუალებათა შორის უმთავრესად არის ცნობილი აგარაკ-კურორტების მოწყობა და მით სარგებლობა,—ყრილობამ დაადგინა: 1) ყოველნაირი კურორტი, მნიშვნელოვანი აგარაკი, მადნეული წყალი და სხვა ამგვარი ბუნებრივი სიმდიდრე—მთელი რესპუბლიკის, მთელი დემოკრატიის კუთვნილებას უნდა შაედგენდეს; 2) ყოველი მნიშვნელოვანი აგარაკი, კურორტი და მადნეული წყალი ამა თუ იმ მაზრაში მდებარე უნდა გადადიოდეს მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობის ხელში და თუ რომელიმე თვითმართველობა ვერ შესძლებს აიღოს საწარმოვოდ ან შესაფერისად მოაწყოს თავის მაზრაში ან ქალაქში მდებარე ბუნებრივი სიმდიდრე—მაშინ თვით მთავრობამ უნდა იკისროს მათი მოწყობა-წარმოება და ექსპლოატაცია. 3) იმავე დროს ყრილობამ მოისმინა შემდეგი ცნობა: რომ ბორჯომის წყალი სათანადო უწყებას გადაუცია საექსპლოატაციოთ კერძო პირისთვის, კოჯორის აგარაკის სახელმწიფო შენობები იმავე უწყებას კერძო პირისთვის მიუცია საიჯაროდ და მას კი სასპეკულიაციოდ გაუხდია, აგრეთვე მანგლისის საუკეთესო აგარაკებიც კერძო საზოგადოების ხელში გადასულა. ყრილობა ამ ცნობას მწუხარებით აღნიშნავს და აცხადებს თავის პროტესტს ჩამოთვლილი ფაქტების შესახებ. ამ გვარი წესით კერძო პირთათვის გადაცემა იმისა, რაც სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, ყოვლად შეუწყნარებელია სახელმწიფოებრივ სანიტარია-ჰიგიენის და ხალხის ჯანმრთელობის თვალსაზრისით. კერძო ხელი, კერძო ინტერესი აღნიშნულ ქონებას მხოლოდ პირად ექსპლოატაციის საგნათ იხდის და ხალხი კი, რომელსაც დღეს ასე ძალიან ესაჭიროება აგარაკ-კურორტებით და მადნეული წყლებით დახმარება-წამლობა, ძველებურათ რიგს გარეშე დარჩება და ვერას ირგებს იმ დიდი ბუნებრივი სიმდიდრისგან, რომელიც ჩვენ სამშობლოს აქვს. 4) ბორჯომის წყალი და კოჯორის აგარაკები დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს რაციონალურ ექსპლოატაციას ზემოხსენებულ პირობების დაცვით და კერძო იჯარა ამ ორი მნიშვნელოვანი მამულის შესახებ ეხლავე გაუქმებულ უნდა იქნას. რაც შეეხება მანგლისის აგარაკებს (ყოფილი კადეტის კორპუსის შენობებს და სხვებს) იგინი უნდა თფილისის მაზრის ერობას დაუბრუნდეს როგორც მიუცილებელ პატრონს მაზრაში.

### [illegible]

**სურამი.** ის უთანხმოება, რომელმაც იჩინა თავი სურამელ ამხანაგებ შორის ქალაქის არჩევნების დროს და რომელმაც დიდი არევდარევა შეიტანა როგორც საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციაში, ისე ორგანიზაციაში და რომლის მოსპობა ვერ შესძლო ვერც სამაზრო და ვერც ცენტრალურმა კომიტეტმა, დღეს თითქმის მოსპობილად უნდა ჩაითვალოს. მე ვამბობ თითქმის, რადგანაც საბჭოს ფრაქციას ჯერ კიდევ დასჭირდება აქა იქ „ეჩოს“ გაკვრა-გამოკვრა და გაშალაშინება, რომ სათანადოთ გაიწმინდოს, ხოლო სურამის სოც.-დემ. ორგანიზაცია კი დღეს უკვე გაწმენდილი და ჩამოყალიბებულია თვით ორგანიზაციის საკუთარის უნარით, რომელმაც 18 მაისს მოახდინა რეორგანიზაცია კომიტეტის თანახმად სამაზრო და ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა და შემდეგ შეუდგა თავისი ხელმძღვანელი ორგანოს დახმარებით თვით ორგანიზაციის გაწმენდას. 8 ივნისს განახლებულმა კომიტეტმა გამოიტანა, სხვათა შორის, ორი დადგენილება, ერთი პრინციპიალური, რომლითაც დაუშვებლად სცნო ამიერიდან ორგანიზაციაში მიღება ისეთი პირების, რომელნიც ბალშევიკებათ თვლიან თავს, და ზოგიერთი პირები კიდეც გამორიცხა. კომიტეტი გაათკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას: მისი თაოსნობით სურამში შესდგა სახალხო გვარდია, რომლის დამფუძნებელი კრება მოიწვია 18 ივნისს. სახალხო გვარდიელნი ხაშურის გვარდიასთან ერთად, სადაც სურამელმა გვარდიელებმა იარაღი მიიღეს, ხაშურიდან შტაბის თავმჯდომარის ნ. სიხარულიძის მეთაურობით მუსიკით და ბაირაღებით შემოვიდნენ ქალაქში და შემოიარეს მთავარი ქუჩა და შემდეგ ბიუროს წინ, მიუხედავათ იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო, გაიმართა მიტინგი. მიტინგი გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. მამალაძემ, რომელმაც მიულოცა მოქალაქეთ სახალხო გვარდიის დაარსება სურამში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც შინაურ დენიკინელებთან ბრძოლაში, ისე გარეშე მტრებთან—ფრონტზე სხვა გვარდიელებთან ერთად თავდაცვის წარმოებაში. მოუწოდა დამსწრეთ ხელი შეუწყონ გვარდიის გაძლიერებას, როგორც იმაში ჩაწერით, აგრეთვე ნივთიერი დახმარებითაც. და თავის მხრით სურამში სახალხო გვარდიის ფონდის შესაქმნელად ერთდროულად შესწირა 500 მ. და წლიურად აღუთქვა 500 მანეთის წამლით დახმარება ავათმყოფ გვარდიელთ და მათ ოჯახებს, რაისთვის კრებამ მადლობა გადუხადა თავმჯდომარეს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ხაშურის სახალხო შტაბის თავმჯდომარემ ამხ. ნ. სიხარულიძემ და რამდენიმე სხვა ამხანაგებმა, რის შემდეგ კრება დახურულად გამოცხადებულ იქნა. გვარდიაში დღეს ირიცხება 65 კაცი. 15 ივნისის კრებაზე კომიტეტმა დაადგინა 22 ივნისისთვის მოწვეულ იქნას პარტიული საგანგებო კრება და შეადგინა ამ საგანგებო კრების დღიური წესრიგი, რომელიც ეუწყა წევრებს ბიუროში და ქალაქის სხვადასხვა ადგილას განცხადების გაკვრით.

22 ივნისს, კვირას, პირველის ნახევარზე დღისით შესდგა ბიუროში საგანგებო კრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც მოისმინა კომიტეტის მოხსენება და დაადგენილება ზემოაღნიშნულ პირთა ორგანიზაციიდან გარიცხვის შესახებ, ერთხმად დაადასტურა იგი. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება გვარდიის დაარსების შესახებ სურამში და ახალი კომიტეტის ერთი თვის მოღვაწეობის შესახებ, დამაკმაყოფილებლათ სცნო ის და წინადადება მისცა კომიტეტს განაგრძოს აღებულ ხაზით მუშაობა. კრებამ აირჩია ათის თავები, რომელთაც დაავალა საჭიროებისამებრ, თანახმად კომიტეტის დადგენილებისა, მოიწვიონ პარტიული კრებები. შემდეგ კრებამ დაადასტურა ბიუროს მიერ 16 ახალი წევრის მიღება. დასასრულ ამხ. პ. წეროძის წინადადების თანახმად კრება ირჩევს კომისიას ხუთი კაცისაგან, რომელსაც ავალებს კომიტეტთან ერთად იზრუნოს ორგანიზაციის ნივთიერი სახსრის გასაძლიერებლად სცენის მოწყობით, წარმოდგენების გამართვით, ლექციების კითხვით და სხვ.

კომიტეტის თაოსნობით ორ-სამ დღეში მოწესრიგდა სცენის მოწყობა და ისარგებლა რა სურამში 24 ივნისს ჩამოსული დასით ტასო აბაშიძის მეთაურობით, 25 და 26 ივნისს მოაწყო წარმოდგენა კომიტეტის და ბიუროს ბინაზე. წარმოდგენილ იქნა 25 ივნისს ოპერეტა „არშინ მალ-ალან" და 26 ივნისს „აშულ-ყარიბი". წარმოდგენები საუცხოვოდ ჩატარდა, ხალხი ბლომად დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა, მაგრამ უადგილობის გამო (დარბაზი იტევს მხოლოდ ორას კაცს) უკმაყოფილონი სახლში დაბრუნდენ. ორივე წარმოდგენიდან ორგანიზაციის სცენის სასარგებლოდ არტისტებმა გადადვეს ათას ას ოცი მანათი (1120 მ.), რისთვისაც კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის, როგორც მსახიობთ, ისე ღამსწრე საზოგადოებას.

შაბათს, 5 ივლისს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ვ. მურვანიშვილის ხელმძღვანელობით დადგმული იქნება ორგანიზაციის სასარგებლოდ „ყაჩაღი არსენა" და კვირას დილით გაიმართება უფასო სახალხო წარმოდგენა.

კომიტეტი ყოველ კვირაობით მართავს ბიუროს ბინაზე პარტიულ კრებებს, რომელზედაც ამხანაგები მოხსენებებს აკეთებენ სხვა და სხვა თემებზე. მაგალ., თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა გორელმა ამხ. ილ. რუხაძემ 8 ივნისს. 15 ივნისს ამხ. მამალაძემ მოხსენება გააკეთა და გააცნო კრებას „პროგრამა მინიმუმი". მომავალ კვირისათვის (6 ივლისს) დანიშნულია მოხსენება შემდეგ თემაზე: „ბოლშევიკები და მენშევიკები".

ერთის სიტყვით, ორგანიზაციას ეტყობა გამოცოცხლება და საქმიანობა.

ვუსურვოთ მის (ორგანიზაციის) ხელმძღვანელთ, რომ საქმიანობას არ ჰქონდეს დროებითი ხასიათი და არ იყოს შედეგი მხოლოდ დროებითი აღტყინებისა...

Seneca.

# მუშათა შორის

**თფილისი.** სხვა დარგის მუშებს დიდი ბრძოლა უხდებათ, რომ რამოდენიმე პროცენტით ასწიონ თავიანთი სამუშაო ხელფასი. ამ მხრივ თფ. პარიკმახერები „ბედნიერნი არიან! იშვიათია ისეთი „ხაზეინი", რომელიც არ აკმაყოფილებდეს მუშების მოთხოვნილებას. „თანახმა ვარ—ამბობს საპარიკმახეროს პატრონი — დავაკმაყოფილო მოთხოვნილება... რა მენაღვლება „ტაქსას" მოვუმატებო და უმატებს კიდეც. მატერიალურის მხრით თფ. პარიკმახერები შედარებით კარგს პირობებში იმყოფებიან, განსაკუთრებით პირველ კლასის მომუშავენი.

გონებრივად ხსენებული დარგის მუშების უმრავლესობა დაბალ საფეხურზე დგას. მათ არ აინტერესებთ რა ხდება მათ გარშემო!.. „ბევრი ფული ივილო, სხვა არა მინდა რაო! ასე მსჯელობენ ისინი. ლოთობა, კარტის თამაში და სხვა უარყოფითი თვისებები, მათი ხელობაა. „ნაჩაის" იღებენ, მაგრამ ეს არაფერია, „დოხტურები" იღებენ კუთვნილზე მეტს და მე რომ ავიღო, რა უშავსო, გიპასუხებს... კავშირსაც არ ივიწყებენ, ღვინის სმის დროს კავშირის სადღეგრძელოს სვამენ!.. როცა თვიურ საწევრო გადასახადს მოსთხოვთ,—არა მაქვს კავშირისთვის ფულიო.

„ხაზეინები" კავშირის წარმომადგენლებს —როცა მათთან რამე საქმე აქვთ—თითქმის ერთ და იმავეს სთხოვენ—მიიღეთ ზომები, რომ ესა და ეს მომუშავე თავის მოვალეობას კეთილსინდისიერათ ასრულებდესო—მუშაობის დროს ლოთობას და კარტის თამაშს თავი გაანებოსო.

გამგეობის და ყველა შეგნებული ამხანაგების მოვალეობაა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ გამგეობას არ დავეხმარეთ, ის უჩვენოთ ბევრს ვერაფერს გააკეთებს.

**რისხვა**

---

**ქუთაისის** ყველა მუშათა პროფესიონალურ კავშირების წევრთა საზოგადო კრებამ 28 ივნისს, მოისმინა რა მოხსენება თფ. მუშ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტ. წევრების ამხ. ანდრო ჭიაბერაშვილის და პავლე ბერიშვილისა ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის შესახებ, დაადგინა, რომ ის სავსებით მიზანშეწონილად სცნობს თფ. მუშ. დეპ. საბჭოს 26 ივნისის დადგენილებას და მასთან დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის რევოლიუციური დემოკრატია და ბაქოს პროლეტარიატი ხელიხელ ჩაკიდებული შესძლებენ შეერთებული ძალით დაამარცხონ მოსალოდნელი რეაქცია დენიკინის სახით და მით განამტკიცონ რევოლიუციის მონაპოვარი.

კრების თავმჯდომარე **ხ. ტუსკია.**

---

**ტყიბულის მაღაროები.** ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელ პირობებში საზოგადოთ მუშები უზრუნველყოფილი იყვნენ ყოველი მხრით, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ასე უნუგეშო მდგომარეობაში, როგორშიაც არიან მაღაროს მუშები, არა მგონია რომელიმე დარგის მუშები იყვნენ. ვის არ ახსოვს ტყიბულის მუშების ცხოვრებაში 1918 წელი? ჯერ კიდევ ბევრს ეხსომება ის არევ-დარევა, ის უთავბოლო გაფიცვები და სხვა. მაგრამ განვლო დრომ. მუშაობა განახლდა, მუშებმაც იცვალეს ფრონტი. თუ წინათ მოწინავე ძველ მუშაკებს უნდობლად უყურებდნენ, დღეს მათ დიდის ნდობით შესცქერიან, მათ დაუკითხავად არავითარ ნაბიჯს არ დგამენ. და ასეთ დროს ვხედავთ, რომ მუშების ინტერესები ვერ არის დაცული. გამოსავალი გზა ვერ გვიპოვნია. ძველ გზას თუ დაადექი, ეს ისევ ძველ პირობებში ჩაგვაყენებს. ისე კი არაფერი არ გამოდის.

მაღაროს ადმინისტრაციას უნდა მიეწოდებია მუშებისათვის დღეში 3 გირ. მჭადი. ჯამაგირები უნდა დარიგებულიყო ყოველ მეორე თვის თუთხმეტზე. უკიდურეს შემთხვევაში კი თვე და ოცდა ხუთ დღეში, დღეს კი ასე ხდება: მესამე თვე გადის და ჯამაგირი არა სჩანს. ამას კიდევ მოითმენდა კაცი, რომ მჭადი მიეცათ მუშებისთვის. თავიდანვე ეტყობოდა ამ მხრივ სისუსტე ჩვენს ადმინისტრაციას: მჭადი რომ გათავდებოდა, მერე დაუწყებდნენ ტომრებს ფერთხვას. ამ ბოლო დროს კი მთლად აირია სურსათის საქმე. ხუთ და ათ ფუთობით ეზიდებიან სიმინდს და ფუთში იხდიან 130 მ. და იმასაც ვერ შოულობენ. სენაკში საგანგებოთ გაგზავნილმა კაცმა ორ კვირაში მოიტანა მხოლოდ ორასი ფუთი სიმინდი, შემდეგ კი ისევ გაბრუნდა და როგორც მისი ნათქვამიდან ირკვევა 200 ფუთი კიდევ შეიძინა და მისცა სენაკის სადგურზე, მაგრამ გადის აგერ 15 დღე და სიმინდი არა სჩანს. მუშების მეტი ნაწილი ოკრიბის მცხოვრებლებია, რომელსაც სახლში სიმინდი იშვიათად მოეპოვებათ. ცოლშვილის გამოსაკვებათ თვით ყიდულობენ და მაღაროში აბა რა უნდა მოიტანონ. საჭიროა ამას ყურადღებას მიაქცევდეს ინჟ. ციციშვილი და სურსათის საქმეს მოაგვარებდეს.

**მართალი.**

# პროვინცია

**სამეგრელო.** ორ კვირაზე მეტია, რაც განუწყვეტლივ კოკისპირული წვიმა მოდის; დათესილი სიმინდი მიწაში ჩალპა, ყოველგან ყანებზედაგუბებული წყალი დგას და ამოსული სიმინდიც გაყვითლდა და წახდა; სტიქიონმა ეს არ აკმარა. ადიდებულმა მდინარეებმა ნაპირი გადმოხეთქეს და რაც დათესილი იყო, იგიც სანახევროდ წალეკა და მოსპო.

ყოველ კუთხიდან მოისმის გულ-შემზარავი ამბავი, ხალხის მწუხარებას საზღვარი არ აქვს.

საჭიროა ახალ-სენაკის, ზუგდიდის და სამურზაყანოს ერობებმა მიაქციონ ამ თავიდან დიდი ყურადღება, რომ სიმინდი არ ჩაიგდონ სპეკულიანტებმა და არ გააპარონ ზღვით საზღვარ გარეთ; როგორც ამბობენ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონია.

ზუგდიდის მაზრას, თუ პირველი ადგილი არა, მეორე ადგილი მაინც ეჭირა ქურდობა ყაჩაღობის მხრით, მაგრამ, როგორც დღესაა დაცული, უკეთესად არას დროს არ ყოფილა. ხალხს საშუალება მიეცა თავისუფლად ამოისუნთქოს. ეს მიეწერება ადმინისტრაციის მხნე მუშაობას. მხოლოდ ერთ მოვლენას უნდა გაესვას ხაზი. ზოგიერთი სოფლის კომისრები ქრთამებს იღებენ. გამოცხადდება მობილიზაცია ჯარის კაცთა ან ცხენებისა თუ არა, ზოგიერთი სოფლის თავაშვებული კომისრები გადამალვენ კარგ ცხენებს და რაც გლახა და უვარგისი ცხენებია, ჯარისათვის წარუდგენენ. ჯარისკაცს დამალავს, ვითომდა მის სოფელში არ ცხოვრობს და არც იცის სად იმყოფება. ასე ახდენენ სოფლებში არევდარევას. მაზრის ადმინისტრაციამ და ერობამ ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ ასეთ მოვლენებს არ ჰქონდეს ადგილი

პ. კ—ია

---

**ოზურგეთის** სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ მაზრაში უკვე დაიწყო მუშაობა სარაიონო სააგრარიო კომისიებმა, რომლებიც ჯერ-ჯერობით განაგრძობენ მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევას. ასეთი კომისიები უკვე მუშაობენ: ოზურგეთის, გურიანთის, ნატანების, სუფსის, ჯურუყვეთის, ლანჩხუთის, აკეთის და ბასილეთის რაიონებში, დანარჩენ ორ რაიონში—ნიგოითისა და ნანეიშვილისეულში—ამ დღეებში დაიწყებს მუშაობს. №

# წერ. რედაქციის მიმართ

„სახალხო საქმის" 564 ნომერში ვინმე შლენგი ეს მეორეთ ეხება ჩემს პიროვნებას და სრულიად დაუმსახურებელ, უშნოდ შეხანხლულ ჭორებზე აგებულ „ბრალდებებს" მიყენებს. მისი მიზანია ერთხელ კიდევ მოატყუილოს მკითხველი საზოგადოება, დასცეს ჩემი პრესტიჟი თანამოსამსახურეთა თვალში და ამით ნიადაგი მოუმზადოს მასსაში და ადმინისტრაციაში თავის თანამოჯგუფეთა გაბატონებას.

მაგრამ მეტათ ურცხვი და უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, რომ მან ამისთვის გაზეთის ფურცლებზე განზრახ შეთხზას, დაამახინჯოს და გადააბრუნოს ფაქტები. თანახმად შლენგის მიერ შეთხზული ექვსი ჭორისა, მთელი ჩემი მუშაობა იქით ყოფილა მიმართული, რომ როგორმე ხელში დიდი თანამდებობა ჩამეგდო და ბოლოს კავშირის შემწეობით ეს სურვილი გამიხორციელებია. მე აქ არ მსურს გავარჩიო ამის დასამტკიცებლათ შლენგის მიერ მოყვანილი „ფაქტები", მხოლოდ მინდა აღვნიშნო ორი გარემოება, რომლებიც ძირბუდიანათ არღვევენ შლენგის მიერ აგებულ მთელ ხუხულას:

1. თუ შლენგმა იცოდა, როგორი იყო ჩემი სულისკვეთება, რათ არ გააცნო ეს კონფერენციის მიერ ჩემთან გამოგზავილ დელეგაციას, რომლის წევრი თვითონაც იყო და რომელიც ლოგინში მწოლარ მძიმე ავათმყოფს მოსვენებას არ მაძლევდა და კატეგორიულათ მომთხოვდა ადმინისტრატიულ პოსტზე წასვლას და 2. თუ კი ადმინისტრატიულ პოსტზე გასამაგრებლათ ასე მოხერხებულათ ვეძებდი კავშირის ნდობას და მხარის დაჭერას, როგორღა მოხდა, რომ მე ბრძოლა გამოუცხადე მას (კავშირს); ეს ხომ კავშირის ნდობის და ადმინისტრატიული პოსტის დაკარგვას ნიშნავდა?

მაგრამ შლენგის ამ ულოღიკობას თავი დავანებოთ: სულ ერთია, ცერცვი კედელს არ შეამაგრდება. მე ერთხელ კიდევ კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ მის მიერ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული „ბრალდებები" არის სრული სიყალბე და განზრახ გამოგონილი დედაბრული ჭორიკანობა.

წინადადებას ვაძლევ ბ-ნ შლენგს სამი დღის განმავლობაში ამ წერილის დაბეჭდვიდან აიხადოს პირბადე და გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში, სადაც უნდა დაამტკიცოს ყველა მის მიერ წამოყენებული ბრალდებები. უკეთუ ის ამის დამტკიცებას შესძლებს, მე ორი კვირის ვადაში დავსტოვებ ჩემს თანამდებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა დასტოვოს ფოსტა-ტელეგრაფის სამსახური ჭორიკანას იარლიკით.

ჩემის მხრით მედიატორეებათ ვასახელებ ალფეს ცისკარიძეს და კირილე კილაძეს. სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს „ერთობა" და „სახალხო საქმე"-ში.

თუ შლენგი სასამართლოს გაექცა, ამით იცნობს ყველა თავის ნათქვამის სიყალბეს და საშუალებას მომცემს შესაფერი სახელი უწოდო და სხვა საშუალებებს მივმართო მის წინაალმდეგ.

**ბ. შალიკიანი.**


# განცხადებანი

ახტალის ტალახებზე (სადგ. გურჯაანი კახეთის რკ. გზაზე) ექიმი **ა. ი. ბალარჯიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს 5 მკათათვიდან სეზონის განმავლობაში. კოტეჯი. სახლი დათიკო შიშნიაშვილისა. (2—1)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

---

ექიმი ქალი **რ. გ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

---

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

---

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

---

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**
გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

---

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

---

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

---

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

ექიმ **ა. თ. ტყეშელაშვილის**
საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

---

# სახელმწიფო თეატრი
## იუმორისტული ოპერა და ბალეტი

პარასკევს 4 ივლისს 1919 წელს ქართველ მომღერალთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე

I

# ვანო წამებული

იუმორისტული ოპერა—მოზაიკა ორ მოქმედებად, გადმოკეთებული „ივანოვ პაველიდგან" კ. დორპატელის მიერ. მონაწილეობენ: ქ-ნნი კალანდაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი ჭუმბურიძე, კურბატოვი, გველესიანი, ქურხული, აგასოვი და სხვანი.

II **ბალეტი** ქ-ნ პერინის საბალეტო სკოლისა

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—2)


მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.